GRASS REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 10
თარიღი: 23 01 2017 წ.

GRASS FACTCHECK

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

მოადგილეს ბ-ნ შალვა ხუციშვილს

ბატონო შალვა,

2016 წლის 16 დეკემბერს, თქვენ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართეთ, სადაც სისხლის სამართლის დანაშაულის სტატისტიკა და სამომავლო გეგმები იქნა განხილული. აღნიშნულ შეხვედრას ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენელიც ესწრებოდა. თქვენ ჩვენ მიერ დასმულ კითხვაზე (ეგზავნება თუ არა სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს დანაშაულის სტატისტიკური მონაცემები როგორც ყოველთვიურად ასევე კვარტალურად?), განაცხადეთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ორივე სახის სტატისტიკა, შესაბამისი ფორმითა და პერიოდულობით იგზავნება, თუმცა შემდეგ ერთად ვნახეთ მონიტორზე, რომ საქსტატის ყოველთვიურ ანგარიშში შსს-ს სტატისტიკური მონაცემები 2012 წლის შემდეგ არ გამოქვეყნებულა. თქვენ, აღნიშნული საკითხის საქსტატთან გარკვევას დაგვპირდით.

გთხოვთ, მოგვახსენოთ, სტატისტიკის გამოუქვეყნებლობის ის მიზეზები, რომლებიც საქსტატმა თქვენთან კომუნიკაციის დროს დაასახელა.

ასევე, გთხოვთ კიდევ ერთხელ დაგვიდასტუროთ წერილობითი ფორმით, რომ თქვენი მხრიდან საქსტატისთვის ყოველთვიურად ხდება (მემორანდუმით გათვალისწინებული) სტატისტიკური მონაცემების გაგზავნა და რომელიმე თვის (2012 წლის იანვრიდან) ნიმუში მოგვაწოდოთ.

პატივისცემით,

დიმიტრი ავალიანი

ფაქტ-მეტრის მთავარი რედაქტორი,

GRASS 406077579 NNLE Georgia's Reforms Associates

მისამართი:
თბილისი, მიცკევიჩის #27

საკონტაქტო პირი:
თამარ ქეცბაია

ტელ: 599277211
E-mail: tkets11@freeuni.edu.ge